მეტად საჭირო ორი ქულა
“დინამო” (თბილისი) – “შახტიორი” (სტალინო)

15 აგვისტოს თბილისის “დინამომ” თავის მოედანზე მიიღო სტალინოს “შახტიორი”. ეს იყო ამ გუნდების XVII ტურის მატჩი “ა” კლასის ოსტატთა ტურნირში.

სტუმრები მოედანზე გამოვიდნენ თავისი საბრძოლო შემადგენლობით: ჩანოვი, შუმილინი, კრივენკო, მოროზოვი, ალპატოვი, დუმანსკი, ბობოშკო, ფედოსოვი, პონომარენკო, სამოილოვი, სოფრონოვი. თბილისელთა შემადგენლობაში იყვნენ – მარღანია, ელოშვილი, გოგლიძე, სოტკილავა, დავარაშვილი, ვარდიმიადი, კოტრიკაძე, კ. გაგნიძე, კალოევი, ღოღობერიძე, ხასაია.

“შახტიორმა” თამაში დაიწყო 10 კაცის შემადგენლობით. მათი ცენტრალური თავდამსხმელი პონომარენკო მინდორზე გამოვიდა მეოთხე წუთზე. ცენტრში გათამაშებული ბურთი მან კარგად გადასცა ფედოსოვს, რომელმაც შორიდან მოულოდნელად კარში დაარტყა. მარღანიამ იგი მოიგერია. ამ მომენტიდან დაწყებული, დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში თბილისელებს სრული უპირატესობა ჰქონდათ მოედანზე. ორივე გარემარბი აქტიურად იყო ჩაბმული თამაშში, ვრცელ ტერიტორიაზე მოქმედებდა ღოღობერიძე, რომელიც ზომიერად ანაწილებდა ბურთებს, როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ფრთაზე. წინა მატჩებისაგან განსხვავებით მეტი მრავალფეროვნება შეიტანა თავის თამაშში გაგნიძემ, დაუღალავად იბრძოდა ვარდიმიადი. “შახტიორის” დაცვა და მეკარე ჩანოვი ძლივს ასწრებდნენ მოწინააღმდეგის სწრაფი კომბინაციების მოგერიებას. ერთხელ შეტევაში ჩაება ვარდიმიადიც, მაგრამ მისი ძლიერი დარტყმა მოხვდა ორი ძელის შეერთების ადგილს – “ცხრიანში”. დინამოელთა თამაშში იგრძნობოდა დიდი სწრაფვა გამარჯვებისადმი.

ამ ხნის განმავლობაში ჩანოვმა ორჯერ აიღო მეტად ძნელი ბურთი. მან როგორც იტყვიან, “სულზე მიუსწრო” ღოღობერიძე–გაგნიძე–კოტრიკაძე–ღოღობერიძის რთულ კომბინაციას და მალე კალოევსაც ააცალა ფეხები და ბურთი. “შასტიორის” თითქმის მთელი ძალები მობილიზებული იყო დაცვისათვის, თუმცა პონომარენკო ერთხელ მოულოდნელად გაიჭრა წინ და თბილისელთა კარი ძლივს გადაარჩინა გოლს.

მე–18 წუთზე კრივენკომ ღოღობერიძეს ძნელ მდგომარეობაში ფეხი უხეშად გამოსდო, მაგრამ მან მაინც შეინარჩუნა ბურთი და გავიდა წინ. მსაჯმა ნ. ხლოპოტინმა (მოსკოვი) დანიშნა საჯარიმო. მსაჯის შეცდომა გამოასწორა დავარაშვილმა. მის მიერ შორიდან დარტყმული ბურთი გასცდა მცველთა კედელს და დაბალ კუთხეში გავიდა – 1:0.

გოლის შემდეგ ისედაც ცოცხალი თამაში კიდევ უფრო ტემპიანი გახდა. “შახტიორის” ძლიერმა ნახევარდაცვამ, სადაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ალპატოვი, შეძლო წინ გადმონაცვლება. სტუმრები ცდილობდნენ შეტევის დასამთავრებლად კარში დარტყმის საშუალება შეექმნათ თავისი ყველაზე ძლიერი თავდამსხმელის – სოფრონოვისათვის, მაგრამ მას ფხიზლად დარაჯობდა ელოშვილი და ყოველი მისი გადაადგილება ზუსტი კონტროლის ქვეშ ჰქონდა აყვანილი. დამაკმაყოფილებლად ითამაშა ახალგაზრდა სოტკილავამ, რომელსაც მეტად ძლიერი თავდამსხმელის ბობოშკოს დაჭერა მოუხდა.

32–ე წუთზე დინამოელებმა კარგად გაითამაშეს საჯარიმო დარტყმა. დავარაშვილმა ბურთი გადასცა წინ გასულ ელოშვილს, ხოლო ამ უკანასკნელმა იგი

კარის შორეულ კუთხესთან ჩააწოდა. ბურთზე გავიდა სამი თავდამსხმელი, რომელთაგანაც ყველას დაასწრო გაგნიძემ და მეორე ბურთი გაიტანა – 2:0.

“შახტიორის” ახალგაზრდული კოლექტივი მეორე ბურთის შემდეგ კიდევ უფრო ენერგიულად ამოქმედდა. თავდამსხმელები უბრალო, მაგრამ საკმაოდ ზუსტი და მეტად სახიფათო გადაცემებით, მაღალ ტემპში თამაშობდნენ, ყოველი მათგანი განუწყვეტლივ მოძრაობდა.

36–ე წუთზე კარიდან დიდი დაცილებით ბურთი ჰქონდა სოფრონოვს, ყველა მისი პარტნიორი დაკეტილი იყო, ამიტომ კარში დარტყმა ამჯობინა. ნელი ბურთი მარღანიას მუხლის სიმაღლეზე მოუვიდა. მეკარე დაიხარა, ხელები მოამზადა ბურთის ასაღებად და… კარში გაუშვა იგი.

ამ დრამატული გოლის შემდეგ დინამოელებმა, როგორც ყოველთვის, საგრძნობლად გააუარესეს თამაში. თავდამსხმელები შეჯგუფდნენ, გადაცემის სუზუსტე დაიკარგა, მცველთა შეწყობილი ურთიერთდაზღვევა აირია. ტაიმის დასასრულამდე ინიციატივა ხელთ ჰქონდათ სტუმრებს.

შესვენების შემდეგ ინიციატივა კვლავ სტუმრებისა იყო. “დინამოს” კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები, ხოლო საჯარიმო მოედანზე გამუდმებით “სტუმრობდა” ორივე ნახევარმცველი – ალპატოვი და დუმანსკი. ამ დაძაბულ მდგომარეობაში კვანძი გაიხსნა ანაზდად, რამაც შეხვედრის ბედი თბილისის “დინამოს” სასარგებლოდ გადაწყვიტა: კოტრიკაძე მოედნის სიღრმიდან დაიძრა წინ. გავიდა ფლანგზე და ზუსტად ჩააწოდა კართან. ხასაიამ ახლო მანძილიდან გაიტანა ბურთი – 3:1.

დარჩენილ დროში ბრძოლა კვლავ მაღალ ტემპში მიმდინარეობდა, ორივე გუნდი მთელი მონდომებით იბრძოდა სასურველი შედეგისათვის, თუმცა უნდა ითქვას, რომ თბილისელებმა მაინც ვერ შეძლეს აღედგინათ ის მწყობრი, კომბინაციური თამაში,რომელიც მათ მატჩის დასაწყისში ჰქონდათ. რამდენიმე კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს, როგორც სტუმრებმა, ისე მასპინძლებმა.

თბილისის “დინამომ” თამაში მოიგო ანგარიშით 3:1 და გათამაშების ცხრილში ჩაიწერა მეტად საჭირო ორი ქულა.

საინტერესო ბრძოლაში ჩატარდა ამავე გუნდების დუბლიორთა თამაში “დინამოს” დიღმის საწვრთნელ ბაზაზე. გაიმარჯვეს თბილისელებმა – 3:2.

ბ. ქორქია.

“ლელო”, 17 აგვისტო, 1955 წ.